

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოფ აცანის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის ემზარ თევდორაძის მოსახლეობასთან ანგარიშის წარდგენის შესახებ

სხდომის ოქმი# 1

28.10.2015წელი

სოფელ აცანის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა მოზრძანებისთვის. მისი განცხადებით, რეგლამენტის შესაბამისად ყველა დეპუტატს ევალება მოსახლეობასთან შეხვედრა და გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენა.

დეპუტატის განცხადებით, სოფ აცანის ცენტრში მიმდინარეობს ნაპირსამაგრი სამუშაოები, რისთვისაც გამოყოფილია 130 000 ლარი, აღნიშნული სამუშაოების შედეგად დაცული იქნება სოფლის მოსახლეობა და ცენტრი, ვინაიდან აღნიშნული მონაკვეთი მუწყერსაშიში ზონაა და გარკვეულ საფრთხეს უქმნიდა მოსახლეობას.

სოფელში მოწესრიგდა შიდა გზები: კვიჭიძეების, წილოსნების და თედორაძეების უბანში, მიმდინარეობს გარე განათების მოწყობა, უკვე დასრულებულია 2 უბანში. ჩამოისხა რკინაბეტონის არხები ქალაქწერის უბანში, დასრულდა ხიდების და მილხიდების სამუშაოები ზეკრ უბანში. სოფ აცანაში გაკეთდა მრავალი წლის მანძილზე უფუნქციოდ დარჩენილი გზა და რომლითაც სარგებლობას ვერ ახერხებდა ადგილობრივი მცხოვრებლები. შეკედა საბავშვო ბაღის საშხარეულო, გარემონტდა ბიბლიოთეკა.

ე.წ. საქვიხიაზე მოხდა ჩასასვლელი კიბეების მოწყობა რომელიც სარგებლობს სოფლიც მოსახლეობა და ზაფხულსში სოფელში ჩამოსული დამსვენებლები. დეპუტატის განცხადებით, აღნიშნულ ადგილას კიდევ ზეკრი რამის გაკეთება იგეგმება, ტურისტების დაინტერესების მიზნით. მუწყერსაშიშ ზონაში მცხოვრებ 4 ოჯახს შეუძისნეს სახლი. გაიცა ერჯერადი დახმარებები.

მისი განცხადებით დაგეგმილია უახლოეს დროში სკოლასთან სიჩქარის შემზღლდეელის გაკეთება.

სოფლის მკვიდრის გაიოზ ქანოარიას მოხონაა დამზის გაკეთება მის საცხოვრებელ სახლთან ასევე მდინარის გასწორბაზუნება. მას ასევე ჭირდება 300მ შლანგი წყლის გამოსაყვანად.

კვიჭიძეების უბანში ხიდის საჭიროებს შეკეთებას, დეპუტატის განცხადებით, ამინდის გამოსვლისთანავე შეკეთდება.

ელდარ კვიჭიძე ითხოვს სახლის სახურავის შეკეთებას, დეპუტატმა დახმარება აღუთქვა მას, რომ აღნიშნულ საკითხს მიქცევს ყურადღებას და კომისიას გამოუშვებს შესასწავლად.

რეზო ქინქლაძე ითხოვს ხიდის შეკეთებას საცხოვრებელ სახლთან.

სოფ აცანის კულტურის სახლის თანამშრომლების თხოვნაა, დარბაზში იატაკის შეკეთება.

საბავშვო ბაღის მასწავლებლებმა მადლობა გადაუხადა დეპუტატს გვერდით დგომისა და დახმარებისთვის, მისი თხოვნაა, რომ მოხერხდეს საბავშვო ბაღის შენობის მეორე სართულის ფანჯრების შეკეთება.

თინათინ ონიანის თქმით, აუცილებელია სოფლის ადმინისტრაციულ შენობას და სოფლის ცენტრს ემსახურებოდე და მლაგებელი.

ადგილობრივების მოთხოვნაა, ხე-ტყის მოპოვების და საქონლის ჩაბარებასთან დაკავშირებული ბარიერების გამარტივება.

დეპუტატი მოსახლეობას მაქსიმალურ მხარდაჭერას და პრობლემების მოგვარებას დაპირდა.

